# საქართველო
## ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულო

№ 39 „ 28 " 03 " 2012 წ.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების

სააგენტოს თავმჯდომარეს

ბატონ ტატო ურჯუმელაშვილს

ბატონო ტატო,

გაცნობებთ, რომ მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებული საკონკურსო განცხადება N332, რომელიც ითვალისწინებდა დ.სტეფანწმინდის ცენტრში მდებარე ალ.ყაზბეგის ძეგლის არქიტექტურულ- მხატვრული პროექტის შესყიდვას, გამოვლინდა გამარჯვებული შ.პ.ს. „ჯი ენ პროექტი".

აღნიშნულთან დაკავშირებით გიგზავნით საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმს.

გთხოვთ განათავსოთ ჩვენს მიერ გამოცხადებულ N332 კონკურსის შედეგების ველში.

პატივისცემით

საკრებულოს თავმჯდომარე გ.მალანია

საქართველო, ყაზბეგის მუნიციპალიტეტი დ.სტეფანწმინდა.4700, ალ.ყაზბეგის ქ.№1, ტელ. 790 57 01 12; 790 57 01 17; ს/კ 241499473; www. kazbegi.org.ge.

## ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკონკურსო კომისიის სხდომის

## ოქმი №2

დ.სტეფანწმინდა

22 მარტი 2012 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

გოჩა მალანია – ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე;

ვაჟა ფიცხელაური – ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, საკონკურსო კომისიის წევრი;

გიორგი გომიაშვილი – ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე, საკონკურსო კომისიის წევრი;

ზურაბ ფიცხელაური – ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურულ–სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი;

ზურაბ ჯამარჯაშვილი – ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი;

ხათუნა გომიაშვილი – ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობის მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი;

ეთერ დვალიშვილი – ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, საკონკურსო კომისიის მდივანი.

### დღის წესრიგი

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მიერ 2012 წლის 27 თებერვალს გამოცხადებული №332 კონკურსის შესაბამისად დ.სტეფანწმინდის ცენტრალურ მოედანზე მდებარე ალ.ყაზბეგის ძეგლის არქიტექტურულ–მხატვრული პროექტის გამოვლენის მიზნით კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების პაკეტების გახსნა / განხილვა და გამარჯვებულის გამოვლენა.

აღნიშნულ კონკურსზე საკონკურსო წინადადება წარმოადგინა სამმა პრეტენდენტმა, კერძოდ, შ.პ.ს. „ეკო ენ პროექტმა", ფიზიკურმა პირმა გურამ ლედლემაურმა და ფიზიკურმა პირებმა ზურაბ, ბექა და ილია სულკაშვილებმა.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიამ განიხილა სამივე პრეტენდენტის საკონკურსო წინადადება.განხილვის შედეგად აღმოჩნდა,რომ ფიზიკური პირის გურამ ლედლემაურის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ არის სრულყოფილი,კერძოდ:არ წარმოუდგენია განმარტებითი ბარათი და რეკვიზიტები, არქიტექტურულ–მხატვრული პროექტის ელ.ვერსია,ასევე მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ არის ხელმოწერილი.ასევე, ფიზიკური პირების ზურაბ,ბექა და ილია სულკაშვილების მიერ წარმოდგენილ გადახდის დამადასტურებელ ქვითარში არასწორად არის მითითებული მიმღების დასახელება,არ არის საკონკურსო განცხადების ნომერი და შემსყიდველი ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო ნომერი.

რაც შეეხება შ.პ.ს. „ეკო ენ პროექტის" მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებას, რომელიც შეიცავს საგადასახადო დავალებას, განმარტებით ბარათს, არქიტექტურულ–მხატვრულ პროექტს, რეკვიზიტებს და ინფორმაციას მომსახურების ვადების შესახებ. განხილვის შედეგად აღმოჩნდა , რომ კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია სრულად შეესაბამება საკონკურსო განცხადებაში მოთხოვნილ პირობებს და „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების" მე-6 მუხლით განსაზღვრულ მონაცემებს.

დაადგინეს:

1. დისკვალიფიკაცია მიეცეს ფიზიკური პირების ზურაბ, ბექა და ილია სულკაშვილების საკონკურსო წინადადებას,ასევე არ განიხილება ფიზიკური პირის გურამ ლედლემაურის საკონკურსო წინადადება.რომელიც არასრულყოფილია.

2.ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკონკურსო კომისიის მიერ გამოცხადებულ №332 კონკურსში საკონკურსო კომისიის წევრთა გადაწყვეტილებით გამარჯვებულად გამოვლინდეს შ.პ.ს. „ეკო ენ პროექტი",რომელსაც გადაეცეს საკონკურსო პრემიის თანხა 3000 ლარი მასთან გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ

3 ეცნობოს აღნიშნულის შესახებ შ.პ.ს. „ეკო ენ პროექტს"

3. დაევალოს საკონკურსო კომისიის წევრს ხათუნა გომიაშვილს უზრუნველყოს აღნიშნული ოქმის გაგზავნა კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე მისი გამოქვეყნების მიზნით.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: გ.მალანია

საკონკურსო კომისიის წევრები: ჯ.ფიცხელაური

გ.გომიაშვილი

გ.ფიცხელაური

გ.ჯამარჯაშვილი

ხ.გომიაშვილი

მდივანი: ე.დვალიშვილი

# ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

დ.სტეფანწმინდა 22.03. 2012 წ.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი, ხელის მოწერით ადასტურებს, რომ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკონკურსო კომისიის მიერ 2012 წლის 27 თებერვალს გამოცხადებული №332 კონკურსის საშუალებით მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: გ.მალანია

წევრები: გ.გოშიაშვილი

ვ.ფიცხელაური

გ.ფიცხელაური

გ.ჯაიმარჯაშვილი

ჩ.გოშიაშვილი

## დაბა სტეფანწმინდის ცენტრალურ მოედანზე მდებარე ალ. ყაზბეგის ძეგლისა და მიმდებარე ტერიტორიის რეკონსტრუქციის პროექტი

რთული რელიეფის მქონე ტერიტორიაზე გაშლილი დაბისათვის როგორიც არის სტეფანწმინდა, მომგებიანადაა განთავსებული დასახლების ცენტრალური მოედანი. ხოლო ამ კომპოზიციის ცენტრს - მის გარშემო მდებარე სკვერებით, ყაზბეგის ქანდაკება წარმოადგენს.

წაგრძელებული მართკუთხედის ფორმის საპროექტო ტერიტორია, პრაქტიკულად თვითონაც რელიეფზეა განთავსებული. აღმოსავლეთიდან, სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან, მას ესაზღვრება საცხოვრებელი სახლები გამწვანებული ეზოებით და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობები. ამ სამი მხრიდან მოედანზე შედის ხუთი ქუჩა.

მოედნის დასავლეთი ნაწილის კიდე, შედარებით დაბალია და აქედან იწყება მნიშვნელოვნად დაქანებული ფერდობი, რომელიც მდინარე თერგის ნაპირამდე ჩადის. ამჟამად ამ მხარეს გახსნილი სივრცეა, სადაც თითქოს საგანგებოდ ამფითეატრულად, ერთმანეთის თანმიმდევრულადაა გაშლილი მთის კალთებს შეფენილი სოფელი გერგეტი, შემდგომ მაღლა წმინდა სამების ეკლესია, ხოლო უფრო შორს მწვერვალი ყაზბეგი თავისი ღრუბლის ქუდით და მყინვარით. ყოველივე ეს გვერდებიდან მთების და კლდეების ფარდებითაა შემოსაზღვრული.

ამ შესანიშნავმა ხედმა განაპირობა განსაკუთრებული ყურადღება მიქცეოდა არსებული მოედნის, ახლებურად, არქიტექტურულ სივრცით გადაწყვეტას, ფორმასა და კონფიგურაციას.

თვით მოედანი და ყაზბეგის ძეგლის მდებარეობა საშუალებას იძლევა, რომ მოეწყოს მის გარშემო კეთილმოწყობილი გარემო და ბაღი ცენტრში.

ბაღი ვიზუალურად რამდენიმე ნაწილად იქნება დაყოფილი: პარადული, წინა ოფიციალური ნაწილი და უფრო დაბლა ,ტერასებად განთავსებული მყუდრო გარემო.

მოედანზე და ბაღში დაიდგმება სკამები, კეთდება წყლის დასალევი შადრევნები, კიბეები, საფეხმავლო ბილიკები, ბორდიურები, გეგმიურად გამწვანდება, მოეწყობა ყვავილნარი, გამოყენებული იქნება გაზონის დაბალი ეკონომიური ნათურები,.

სპეციალური დიზაინით და ტერასებითაა მოწყობილი ფერდობი მოედანსა და მდინარე თერგის ნაპირს შორის, სადაც განთავსებულია კაფე და დასასვენებელი პატარა მოედნები.

სიღრმეში მყუდრო ადგილას მოედნის შედარებით წყნარ ნაწილში გამოყოფილი იქნება ტერიტორია ბაზრობისათვის.

განსაზღვრულია საპროექტო ტერიტორიის სპეციალური განათება, რომელიც აღსაქმელად შექმნის თავისებურ მყუდრო გარემოს.

მოსაპირკეთებლად გამოყენებულ იქნება თანამედროვე მასალები. კერძოდ ყაზბეგის ძეგლის პიედესტალის ზედაპირი შეიცვლება ერთიანი მუქი ფერის ქვის გამოყენებით

ამავე დროს უნდა აღინიშნოს რომ ასეთი გეგმარებით, არ ირღვევა უკვე წლობით ჩამოყალიბებული ქალაქის ცენტრის რიტმი. სავალი ბილიკები, სატრანზიტო გზა და სადგომი უცვლელად რჩება.

ამ პროექტში მოხერხებულადაა გამოყენებული თანამედროვე არქიტექტურულ-დიზაინერული და ტექნიკური მიღწევები. და თუ ქალაქის მოთხოვნა დაკმაყოფილდება ამ პროექტით, შეიძლება ჩაითვალოს, რომ მიზანი მიღწეულია.

# საკონკურსო წინადადება

9 მარტი 2012 წ.

ვის: ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკონკურსო კომისიას

ვისგან: შ.პ.ს. "ჯი ენ პროექტი" ს/კ 404 382 351 დირექტორი ნანა ჭურაძე

მისამართი: თბილისი კერესელიძე-ხოშტარიას 16/8

ტელ: (+995 32) 218 28 48 ელფოსტა: gnproject2010@yahoo.com

ბანკი: სს „თიბისი ბანკის" მარჯანიშვილის ფილიალი

ბანკის კოდი: TBCBGE 22 ა/ა: GE 31 TB 79 5433 6020 1000 01

ფასი: გთავაზობთ დ.სტეფანწმინდის ცენტრალური მოედანზე მდებარე ალ. ყაზბეგის ძეგლისა და მიმდებარე ტერიტორიის რეკონსტრუქციის პროექტის შესრულებას თანხით 3 000 (სამი ათასი) ლარი (დღგ-ს ჩათვლით), ანაზღაურება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

ვადები: ჩვენი საკონკურსო წინადადების გამარჯვების შემთხვევაში ვიღებთ ვალდებულებას შევასრულოთ აღნიშნული საპროექტო დოკუმენტაცია ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 დღეში.

თანდართული დოკუმენტაცია დ.სტეფანწმინდის ცენტრალური მოედანზე მდებარე ალ. ყაზბეგის ძეგლისა და მიმდებარე ტერიტორიის რეკონსტრუქციის პროექტის ესკიზი განმარტებითი ბარათით.

შ.პ.ს. "ჯი ენ პროექტი"-ს დირექტორი ნანა ჭურაძე

# რეკვიზიტები

შ.პ.ს. "ჯი ენ პროექტი" ს/კ 404 382 351

დირექტორი ნანა ჭურაძე

მისამართი: თბილისი კერესელიძე-ხოშტარიას 16/8

ტელ: (+995 32) 218 28 48

ელ.ფოსტა: gnproject2010@yahoo.com

ბანკი: სს „თიბისი ბანკის“ მარჯანიშვილის ფილიალი

ბანკის კოდი: TBCBGE 22

ა/ა: GE 31 TB 79 5433 6020 1000 01